ᲕᲝᲚᲘᲮᲐᲓᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲜᲔᲗᲔ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Კ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢ. ᲓᲐ ᲗᲑ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲪᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ №№: რედაქტორის—14—78, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მო. კანტორის—3—81.

სამშაბათი, 17 მაისი 1932 წ. № 114 (3368)

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ

ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲗᲔᲡᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲝ, ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲨᲙᲘᲩᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲠᲕᲔᲚᲗ

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐ-ᲥᲐᲚᲔᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲐᲛᲮ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ 6 ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲠᲘᲡᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲤᲗᲐᲕᲔᲚᲖᲔ. ᲛᲘᲒᲕᲔᲓᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘ ᲤᲘᲠᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

დღეს იხსნება ძირეული პარტიული რგოლის თბილისის პირველი საქალაქო კონფერენცია

განვამტკიცოთ პარტჯგუფი-პარტიული მუშაობის ცენტრალური ორგანოები

„ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის უმთავრეს ამოცანას ახლანდელ ეტაპზე წარმოადგენს ბრძოლა ამხ. სტალინის ექვსი პირობის პრაქტიკული რეალიზაციისა და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შესახებ ცეკას მიერ მოცემულ დირექტივების განხორციელებისათვის“

(„ბოლშევიკი“)

პარტმასიური მუშაობის გარდაქმნაში მოპოვებულ მიღწევების ერთმანეთისათვის გაცნობა—ასეთია ძირეული პარტიული რგოლის თბილისის პირველი საქალაქო კონფერენციის ამოცანა

ბრძოლა გამარჯვების 6 პირობის განხორციელებისათვის

(ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკების პარტკოლექტივის ბიუროს დაუსწრებელ სხდომაზე)

ამხ. უჯმაჯურიძე

(პარტკომ. ბიუროს საორგან. სექტ. გამგე)

პარტიულ – მასიური მუშაობის გარდაქმნას საწარმოებში ოზურგეთის რაიონის ძველი პარტხელმძღვანელობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა; ოზურგეთის **აბრეშუმის ძაფსაღებ – საგრეხ ფაბრიკებში**, სადაც 1.000-ზე მეტი კაცი მუშაობს, ეს საკითხი მივიწყებული იყო; თვით ამ ფაბრიკის ხელმძღვანელი ამხანაგებიც კი არ იცნობდენ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 21 მარტის დადგენილებას პარტიულ – მასიური მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

რაიონის განახლებულმა ხელმძღვანელობამ შესძლო ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. როგორც რაიკომის, ისე ქარხნის პარტკოლექტივის ბიუროს მთელი ყურადღება მიმართულია იქეთკენ, რათა პარტიულ – მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას საამქროებსა და ბრიგადებში, რომ განმტკიცდეს ძირეული პარტიული რგოლი.

აბრეშუმის ძაფსაღებ — საგრეხ ფაბრიკების პარტკოლექტივის ბიუროო აერთიანებს სულ 5 საამქროს პარტუჯრედს — პარტიის 205 წევრის და კანდიდატის შემადგენლობით. ჩამოყალიბებულია 9 პარტჯგუფი და გამოყოფილია 12 პარტორგი. საამქროს უჯრედებთან ჩამოყალიბებულია მასიური მუშაობის, კულტპროპის, მუშების პარტიაში მისაზიდი და სხვ. სექტორები. სექტორებს შედგენილი აქვთ მუშაობის კალენდარული გეგმები. **პარტიის არც ერთი წევრი არ არის დარჩენილი სოცშეჯიბრება - დამკვრელობის გარეშე.** ამის საფუძველზე დღითი - დღე იზრდება კომუნისტების ავანგარდული როლი საწარმოში.

უდიდესი ყურადღება ექცევა სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საქმეს, დღემდე ფაბრიკაში სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილია 29 ბრიგადა.

პარტმასიური მუშაობის გარდაქმნამ ის შედეგი მოგვცა, რომ ფაბრიკები თავს აღწევენ სამარცხვინო ჩამორჩენას. ასე მაგალითად წარმოებამ **საექსპორტო აბრეშუმის ძაფის ხარისხში საკავშირო მასშტაბით პირველობა აიღო, რისთვისაც მას უმაღლესი ორგანოების მიერ მიეცა ჯილდოთ 10.000 მანეთი და გარდამავალი წითელი დროშა.**

პარტიული და უპარტიო მუშების მარქსისტულ – ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეში ვერ გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მართალია პარტიის წევრები და კანდიდატები მთლიანად არიან ჩაბმული პოლიტსკოლებში, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას უპარტიო მუშების შესახებ. **რაიკომიდან მიღებულ დირექტივაში, პოლიტსკოლების ქსელის გაშლის შესახებ არაფერია ნათქვამი პოლიტსკოლებში უპარტიო მუშების გაერთიანების შესახებ.**

სულ ფაბრიკებში ჩამოყალიბებულია 4 პოლიტსკოლა, რომელიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. **პოლიტსკოლებს არ აქვთ სახელმძღვანელო ლიტერატურა** და ისინი არ არიან უზრუნველყოფილი **პროპაგანდისტებით. ბუხშალტერიაში ან და საკონტროლო განყოფილებასთან მოწყობილი პოლიტსკოლები. ჩაიშალა პროპაგანდისტის უყოლობის გამო.** პარტორგები, პარტჯგუფები და შეიძლება ითქვას, რომ ფაბრიკის მთელი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ იბრძვის ბოლშევიკურად ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების გატარებისათვის. **პარტორგებზე და პარტჯგუფებზე** სუსტია **საამქროს უჯრედების** ხელმძღვანელობა, ყურადღება არ ექცევა სოც – შეჯიბრების ხელშეკრულებათა სისტემატიურ შემოწმებას და სხვ. საჭიროა ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად დავიზიდოთ მთელი ჩვენი ძალები.

ამხ. თავართქილაძე

გვაქვს ნაწილობრივი მიღწევა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების გატარების საქმეში. ხელფასის „მომემარცხენო“ გათანაბრებას ფაბრიკებში აღარ აქვს ადგილი, რადგან გატარებულია სანარდო პროგრესიულ – პრემიალური სისტემა, რომელშაც საგრძნობლად ჯაწია შრომის ნაყოფიერება. **თვითეული მუშა დაინტერესებულია იმით რომ გამოიმუშაოს მეტი და კარგი ხარისხის პროდუქცია.**

ვიბრძვით გაუპიროვნების წინააღმდეგაც. თვითეულ მუშას ქარხნის ადმინისტრაციასთან დადებული აქვს ხელშეკრულება მანქანების მოვლის შესახებ. ამ ხელშეკრულების შესრულების შემოწმება ხდება ყოველი თვის ბოლოს.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაა მუშა – ხელის ორგანიზაციულად შეგროვების საქმეში. **კოლმეურნეობებთან დადებულია ხელშეკრულებანი, მაგრამ ისინი არ ასრულებენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.**

1932 წლის პირველ კვარტალში ფაბრიკაში სამუშაოდ კოლმეურნეობებიდან უნდა მოსულიყო 56 კაცი, რომელთაგან დღემდე არც ერთი არ გამოცხადებულა; ამის ვამო პირველ კვარტალში უმოქმედოთ იყო 22 დაზგა. ასკანის, შეორის და სილაურის კოლმეურნეობებმა ჯერ თანხმობა განაცხადეს ფაბრიკისათვის თავისუფალი მუშახელის მიწოდებაზე, მაგრამ, შემდეგ არ შეასრულეს დაპირება.

რაიკოლმეურნეობათა კავშირს ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად არ მიუღია არავითარი ზომები.

წარმოებ-ში მუშათა დენადობა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ამის მთავარი მიზეზია მუშების ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები ასევე ითქმის მათი სამრეწველო საქონლათ მომარაგებაზეც.

ამხ. წულაძე

(საზეინკლო - სამექანიკო სახელოსნოს ჯგუფორგი)

საზეინკლო - სამექანიკო - სახელოსნოს პარტჯგუფი აერთიანებს პარტიის 4 წევრს და 3 უპარტიო მუშას. ბრიგადა გადასულია საპუერნეო ანგარიშზე. პარტჯგუფის წევრები მთლიანად არიან ჩაბმული სოც – შეჯიბრება – დამკვრელობაში. მუშები მიმაგრებულნი არიან დაზგებზე, რომლის ბოვლა - პატრონობაში თვით ისინი არიან პასუხისმგებელი.

მუშაობაში ხელი გვეშლება იმით, რომ არ გვაქვს ნედლი მასალა. ადმინისტრაცია იძლევა დაკვეთას, მაგრამ დასამუშავებელ მასალას თავის ეროზე ვერ გვაწვდის, ამიტომ ჩვენი ბრიგადა იყენებს რკინის იმ ნარჩენებს, რომელიც ადმინისტრაციის აზრით „უსარგებლო“-ა.

უნდა ითქვას, რომ ბრიგადას არ აქვს **საწარმოო** გეგმა, **რადგან წარმოების ხასიათი არ იძლევა ამის საშუალებას.** ჩვენ უმთავრეს [illegible] მუშაობრ მთელი ქარხნის [illegible] მანქანა - იარაღების შეკეთებაზე და ვერ მოვახერხეთ გეგმის შედგენა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ მხრივ რაიმე დაბოკოლება მისცემოდეს წარმოებას; ყოველთვის თავის დროზე ვასრულებთ სხვადასხვა დაკვეთებს.

ამხ. ციწაძე

(ძველი საამქროს მეორე ცვლის ჯგუფორგი)

ძველი საამქროს მეორე ცვლის პარტჯგუფში არიცხება 27 კაცი, აქედან პარტიულია — 2, პარტკანდიდატი—3, კომკავშირელი 6 და დანარჩენი უპარტიო.

გვაქვს სამთვიანი სამუშაო გეგმა და თითეული ჩვენი ყურადღება ექცევა ამ გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. პარტიულ-მასიურ მუშაობის გარდაქმნის შედეგად ჩვენ გადაჭარბებით ვასრულებთ საწ. საფ. გეგმებს. ასე მაგალითად იანვარში საწ. - საფ. გეგმა შევასრულეთ 101,5 პროც., თებერვალში — 101,3 პროც. და მარტში 100,9 პროც., გადაჭარბებით შევასრულეთ აპრილის თვის გეგმაც.

გაუპიროვნებასთან ბრძოლის და მანქანა - იარაღების კარგად მოვლა-შენახვისათვის სისტემატიურად კაწყობთ შაბათობებს. პერსონალური შემოწმება ხდება იმისი. თუ როგორ ებრძვის გეგმების შესრულებისათვის თითეული მუშა. ფართოდ არის გაშლილი სოც – შეჯიბრება - დამკვრელობა. სოციალისტური შეჯიბრებაში გამოწვეული გვყავს № 12 პარტჯგუფი; რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება. პარტ – ჯგუფში გვყავს ამხანაგები, რომლებიც სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებენ საწ. - საფ. გეგმებს; ასეთებია: **ნინა ბარამიძე, გრ. თავართქილაძე და ვასასი შათირიშვილი.**

საჭიროა, საამქროს პარტუჯრედმა მეტი ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენს პარტჯგუფს.

ამხ. კოპლატაძე

(ამოსაღები საამქროს მეორე ცვლის პარტორგი)

პარტჯგუფში არის 27 კაცი, რომელთაგან პარტიის წევრია —6, კანდიდატი, — 5, კომკავშირელი — 8 და 8 უპარტიო. დეკადაში ერთხელ ვისმენთ ბრიგადის მოხსენებას მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ და ვაძლევთ ბრიგადას პრაქტიკულ მითითებებს.

ბრიგადამ 1932 წლის პირველ კვარტალის საწარმოო - საფინანსო გეგმა შეასრულა — 101,8 პროც., პარტჯგუფის წევრები პოლიტსკოლებში გაერთიანებულია მთლიანად, ღვეს.

ამხ. დარჩია

(„518 სახელოსნის ჯგუფორგი)

პარტჯგუფის მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ სისტემატიურად ისმენს საამქროს პარტუჯრედი. შედგენილი გვაქვს მუშაობის სამთვიანი გეგმა, რომლის შესრულებისათვის წარმატებით ვიბრძვით.

პარტჯგუფი აერთიანებს 2 პარტიულს, 5 კომკავშირელს და 9 უპარტიოს. ნაკლები ყურადღება ექცევა მარქსისტული – ლენინური თეორიის დაუფლების საქმეს, არ ხდება ჩამორჩენილთა აყვანა საზოგადოებრივ ბუქჩირზე.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული გვყავს „5 წლედის ბოლომდე მიმყოლი“ ბრიგადა, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება. გადასული ვართ სამეურნეო ანგარიშზე.

ამხ. ლომაძე

ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული ლოზუნგი „**ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას**“ ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსაღებ საგრეხ ქარხნებში მთლიანად ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. **ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით მოწინავე ტექნიკის დაუფლება და მისი გამოყენება.**

მხოლოდ გაზეთებიდან გავიგეთ, რომ **ტექნიკის ბოლშევიკურად დაუფლების საქმეში** მხოლოდ თბილისის **ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხანამ გამოიყენა ახალი მეთოდები ტექნიკური პარტკონფერენციის მოწვევის სახით.** ჩვენც გვინდოდა ასეთი **კონფერენციის მოწვევა, მაგრამ ვერ შევძელით სათანადო პრაქტიკის უქონლობის გამო.**

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება. ქარხნის პარტორგანიზაციამ და მისმა ძირეულმა რგოლმა ფართოო უნდა გამოიყენოს ის მეთოდები რომელთაც ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოები.

სამრეწველო საწარმოებში პარტმუშაობის გარდაქმნის მიმდინარეობის შესახებ

სამრეწველო რაიონების რაიკომების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირის შედეგებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის სამდივნოს 14 მაისის დადგენილება

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, რომელშაც მოისმინა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინფორმაცია პარტუმუშაობის გარდაქმნის მიმდინარეობაზე სამრეწველო საწარმოებში, აღნიშნავს, რომ ცენტრალურ ორგანოს „პრავდა“-ს მიერ დაწყებული ძირეული პარტრგოლის გმოაძახება-დათვალიერებისათვის გაწეული მუშაობის დროს დაისახა ერთგვარი გარდატეხა იმ მხრივ, რომ პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ორგანიზაციულ-პარტიული-მასიური მუშაობის გარდაქმნის ამოცანებს, რის შედეგად ადგილი აქვს საგრძნობ მიღწევებს ძირეული პარტრგოლის შემნის და მისი მუშაობის ერთგვარი გაცხოველების საქმეში. ძირეული პარტრგოლის გარდაქმნა გადაიქცა ოფის სახრძოლო შემოწმებად თუ როგორ ტარდება საკ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ტის 1931 წლის 23 მარტის დადგენილება საამქროსა და ბრიგადაში მუშაობის შესახებ და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის მიერ ამეერ-კავკასიის პარტორგანიზაციის მუშაობის გამო 1931 წლის 31 ოქტომბერს გამოტანილი გადაწყვეტილება. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, გაზეთ „ტიფლისკი რაბოჩი“-ს განსაკუთრებულ დადებით როლს ძირეული პარტრგოლის მუშაობის არსებული გამოცდილების განზოგადოების და გავრცელების საქმეში.

ამასთან ერთად, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთელი რიგ რაიონებში ყველა სათანადოდ ვერ [illegible] ორგანიზაციულ-პარტიული-მასიური და პოლიტიკურ-აღმშრდელობითი მუშაობის მთელ პოლიტიკურ მნიშვნელობას, რაც გამოიხატება შემდეგში:

1) პარტიული კომიტეტები და უჯრედები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ უჯრედების და პარტჯგუფების მუშაობის შინაარსს და გაუმჯობესებას, პარტიული კადრების სწორად განაწილებას წარმოების გადაწყვეტ დარგებში ცოცხალი აღმასრულების შესწავლის საფუძველზე, თვითეული კომუნისტის ავანგარდული, პოლიტიკური და საწარმოო როლის უზრუნველყოფას წარმოებაში, ფართო პოლიტიკურ-აღმშრდელობითი მასიურ მუშაობის შუბამა ახალ კადრებთან, პარტიის კანდიდატებთან და სხ.

2) რაიკომები სუსტად უწევენ ყოველდღიურ, ოპერატიულ ხელმძღვანელობას თვითეული უჯრედის მუშაობას, უჯრედების მუშაობის გაუმჯობესება ჯერ კიდევ არ გადაქცეულა პარტიული კომიტეტების მუშაობის ცენტრალურ რგოლად; თუმცა ადგილი აქვს მთელ რიგ მიღწევებს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 21 მარტის დირექტივების შესრულებაში, რომლებიც ეხება „პარტიული და მასიური მუშაობას საამქროსა და ბრიგადაში“ მაგრამ ეს დირექტივები არსებითად ჯერ კიდევ არ გამხდარან ძირეული პარტრგოლის მუშაობის საფუძველად.

3) სწორად არ ესმით სამეურნეოდან (საბეურნეო ხელმძღვანელობა, პროფორგანიზაცია, პარტუჯრედი) შემდგენლობათა ურთიერთობა იმ მუშაობაში, რომელიც წარმოებს საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის, და ეს ხშირად იწვევს სამეურნეო და პროფესიონალური ხელმძღვანელობის გაუკეთრეფვებს პარტხელმძღვანელობის მიერ და არღვევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს წარმოებაში ერთმანეთის ბრძოლის შესახებ.

1. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლამ სამრეწველო-საფინანსო გეგმების განხორციელებისათვის სრულადაც არ უნდა გამოიწვიოს სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაუპიროვნება, კონკრეტულ ოპერატიული პარტხელმძღვანელობის გაძლიერება ჭეულისმეობს სამეურნეო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გაძლიერებას საწარმოო დავალებათა შესრულებაში და ერთმანეთისადმი განმტკიცებას. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა— პარტკომიტეტების უჯრედების და პარტჯგუფების უახლოეს სხდომებზე ხელმეორედ დამუშავდეს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის 1929 წლის დირექტივა ერთმართველობის შესახებ.

2. რადგან პროფესიონალურ, კომკავშირულ და საბჭოთა-კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა ძალზე სუსტად სწარმოებს, პარტორგანიზაციებმა ორგანიზაციებმა გარდაქმნასთან ერთად საჭიროა ხელი მოჰკიდონ პროფესიონალურ, კომკავშირულ და სხვ. ორგანიზაციების მუშაობის გაკეთილ-ინოვანებულ გარდაქმნას მუშაობის სტაჟიორის ცენტრის ძირეულ რგოლში გადატანის თვალსაზრისით.

3. გაგრძელდეს შემდეგშიაც მუშაობა პარტიული ძალების განაწილებლად წარმოების გადამწყვეტ დარგებში. მოიწყოს და განმტკიცდეს ძირეული რგოლი, ყველა საწარმოო ერთეულებში, საწარმოებში (საამქრო, ბრიგადა, აგრეგატი, ცეხი და სხვ.) და ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტმუშაობას მრეწველობის ჩამორჩენილ დარგებში (ხე-ტყის საწყობები, თევზის სარეწაოები, ეკმოყვანის და საფეიქრო მრეწველობა და სხვ.).

4. პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა საწარმოების საამქროების, ბრიგადების საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, ამხ. სტალინის 6 მითითების (სამეურნეო ანგარიში, შრომის ორგანიზაცია, მუშა-ხელის მოწესრიგებულად შეგროვება, შრომის ხელფასის მოწესრიგება და სხვ.) ბოლშევიკურად გატარება უნდა საწარმოებდეს ფართო პარტიულ და უპარტიო მასების მობილიზაციის საფუძველზე) რისთვისაც საჭიროა:

ა) ინდივიდუალური და ჯგუფური აგიტაცია და ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშათა შორის ტმკიცებულ საკითხების გარშემო სასადილო შესვენების დროს სახლდადესელი მიტინგების და პოლიტწუთების მოწყობის გზით და სხვ. (ნოლეფულთან მომარაგების საკითხები, ტეხნიკური დეფექტები, მუშათა მომარაგების საკითხები და სხვ.); ფართოდ უნდა იქნას დაყენებული პარტიის პოლიტიკის განმარტება თავისი საწარმოს, საამქროს, ბრიგადის და სხვ. მუშაობის კონკრეტულ მაგალითზე;

ბ) სპეციალური მუშაობა წარმოება მუშათა ახალ კადრებთან მათი პოლიტიკური და საწარმოო აღზრდისათვის.

გ) პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის მოწესრიგება პარტიულ მასებს შორის, განსაკუთრებით კანდიდატებს. პარტიის ახალგაზრდა წევრებს შორის (პარტსწავლება, მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, მათთვის პარტდავალებანი, საწარმოო დავალებების მიცემა და სხვ.).

დ) კომუნისტების საავანგარდო როლის გაძლიერება წარმოებაში (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და სხვ.), მათ მაგალითზე და ფართო მასიური მუშაობის საფუძველზე ყველა მუშების ჩაბმა სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში;

ე) პარტდატვირთვის სწორად განაწილება პარტიული კრებებისა და პარტიულ და უპარტიოთა კრებებზე მოსმენილებლების გულდასმით მომზადება და სხვ. ამასთანავე პარტდატვირთვა ჯგუფის ყველა წევრებს შორის განაწილებულ უნდა იქნას უმთავრესად ფუნქციონალური ნიშნის, მიხედვით (მუშაობა კანდიდატებთან, მუშაობა მუშების პარტიაში მიღების ხაზით, პარტ. და ტეხნ. სწავლება, ბრძოლა წუნის წინააღმდეგ, შრომის ორგანიზაცია; შრომის ხელფასის ორგანიზაცია სამეურნეო ანგარიშის გატარება, ბრძოლა სამუშაო დღის გაცდენის წინააღმდეგ, ბრძოლა ხარისხისათვის და სხვ.). უჯრედებმა და პარტჯგუფებმა სისტემატიურად უნდა შეამოწმონ დატვირთვის შესრულება და უწარუნველაყონ ყოველდღიური ხელმძღვანელობა თვითეული კომუნისტის მიერ პარტიულ დავალებათა შესრულების საქმეში.

5. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუთითებს, რომ რაიკომებმა გადაწყვეტ უნდა გაიუმჯობესონ და გაანალიზონ უჯრედების და პარტჯგუფების ყოველდღიური მუშაობის კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა უჯრედთა მეინენების, პარტჯგუფების და პარტორგანიზატორების თათბირების სისტემატიურად მოწვევით. კომიტეტების ბიუროების სხდომებზე მათი მოხსენებათა მოსმენით. მათი მუშაობის [illegible] ყოველდღიური ინსტრუქტაჟის [illegible] ოდენობრივი ჯაჭვის [illegible] ბულ [illegible] ლება უნდა მიეკვეს ძირეული [illegible] ობრივი ჯაჭვის მიმზიდველობას და [illegible] ურდას ყურსებინ-სემინარების, მოკლევადიანი კურსების დაუსწრებელი კურსების და სხვ. მოწყობის გზით. პარტიის რაიკომები სპეციალურად უნდა შეუფიდენ უჯრედთა კრებების (პარტდღე) მომზადებას და ჩატარებული კრებების შედეგების შეგადებას.

ბრტის საოლქო, საქალაქო სარაიონო კომიტეტები, უფრო მეტადრად უნდა დაუკავშირდენ პარტიის უჯრედებს წარმოებაში, და კარგად უნდა იყვნენ გაცნობილნი უჯრედების ყოველდღიურ მუშაობასთან, რისთვისაც საჭიროა კომიტეტის ყველა წევრებმა ხანგრძლივად მიმაგრება ცალკეულ უჯრედებზე, სადაც მათ უნდა გაატარონ თავიანთი სამუშაო დროის ერთი მეხუთედი მაინც და ამასთან დახმარება გაუწიონ საწარმოთა უჯრედებს პარტმუშაობის მოგვარებაში.

წინადადება მიეცეს პარტიის ყველა კომიტეტებს თვეში ერთი პარტდღე დაუთმონ სპეციალურად პარტჯგუფების სხდომებს.

6. წინადადება მიეცეს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას უახლოეს ვადაში გაფორცეს რამდენიმე პოპულიარული ბროშურა ძირეული პარტრგოლის მუშაობის შესახებ.

7. აღინიშნოს რაიონული გაზეთების და კედლის გაზეთების სუსტი მუშაობა პარტმუშაობის გარდაქმნის საქმეში და წინადადება მიეცეს პარტიის ადგილობრივ კომიტეტებს—გააძლიერონ ყოველდღიური დახმარება და ხელმძღვანელობა ამ გაზეთების მიმართ. ამასთან გაზეთების პარტგანყოფილებათა მეშვეობით მიადწიონ ძირეული რგოლის მუშაობის გამოცდილების ფართოდ გაზიარებას და მათი დამარაზმავი როლის გაძლიერებას პარტმუშაობის გარდაქმნის საქმეში.

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტი მოითხოვს პარტიის ყველა კომიტეტებისაგან და ყველა პარტიული ორგანიზაციებისაგან მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას ისეთ ღონისძიებათა გატარების საქმეში, რაგორიცაა: მთელი პარტიულ-მასიური და პოლიტიკურ-აღმშრდელობითი მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანა, უჯრედების და პარტჯგუფების მუშაობის გამოცოცხლება და მისი შინაარსის რადიკალურად გაუმჯობესება, წარმოებაში მთელი მასიურ-პოლიტიკური მუშაობის სანიმუშოდ დაყენება, თითეული კომუნისტის ხელმძღვანელი როლის გადიდება სოციალისტურ შეჯენბლობის ყოველ უბანზე პარტიის გენერალური ხაზის გატარების პოლიტიკასა და პრაქტიკაში.

თბილისის საწარმოების საუკეთესო დამკვრელები: ამხ. ლაფანაშვილი, ჩიჩიკოვი, სარქისოვი და გაჩეჩილაძე შუქდიან კომპარტიის რიგებში.

ლენინაკანელი სტუმრები მაუდის ფაბრიკაში

15 მაისს მაუდის ფაბრიკას ეწვია სტუმრები—ლენინაკანის ფაბრიკა-ქარხნების ძირა პარტორგანიზაციების დელეგატები, რომლებიც ჩამოვიდენ თბილისში 17 მაისს მოწვეულ პარტორგების და ჯგუფორგების კონფერენციაზე დასასწრებლად. დელეგაციაში შედის 6 კაცი, რომელთა გან 3 ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკის პარტორგანიზატორია, ერთი მექანიკური ქარხნის პარტორგანიზატორი და 2 სომხეთის კ.პ.(ბ) ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის წარმომადგენელი.

მოძმე რესპუბლიკის სტუმრებმა დაათვალიერეს მაუდის ფაბრიკა. ᲗᲐᲗ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲕᲔᲑᲗᲐᲜ, ᲞᲐᲠᲢ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲐᲒᲐᲪ ᲔᲠᲗᲓᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

სტუმრების აზრით ფაბრიკაში სამაგალითო დამკვრელ მუშების პარტიაში მიზიდვის საქმე ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ფაბრიკაში სულ მუშაობს 1500 კაცი, პარტიული ორგანიზაცია კი აერთიანებს მხოლოდ 170 წევრ-კანდიდატს. პირველ კვარტალში პარტიაში მიღებული იქნა მხოლოდ 20 კაცი, აპრილის და მაისის თვეში კი დღემდე მიღებულია 18 მუშა. ამის შედეგი ის არის, რომ ერთ პარტორგანიზატორს უხდება 2-3 აგრეგატის ხელმძღვანელობა.

საჭირო ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ მორიგ საბრძოლო ამოცანად დაისახოს ყველა აგრეგატებიდან მოწინავე დამკვრელი მუშების მიზიდვა პარტიის რიგებში.

სტუმრებს მოეწონათ საკამვოლო საამქროში პარტმასიური მუშაობის გარდაქმნა, რაც გამოიხატება პარტიულების ოპერატიულ-კონკრეტულ ხელმძღვანელობასა, და მუშათა მასების ფართოდ დარაზმვაში საწ. საფ. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ნ. კ.-ძე

ძირეულ პარტრგოლებზე ხელმძღვანელობა „დაავიწყდათ“

(ჭიათურის მაღაროები)

ჭიათურის ქარხანა-მაღაროებთან არსებულ პარტუჯრედებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა საკ. კ.პ.(ბ) ცეკას 1931 წლის 21 მარტის დადგენილების საფუძველზე.

პარტუჯრედები უმთავრესად იმით დაკმაყოფილდენ, რომ ბრიგადებში და ცალკე საამქროებში **გამოაყვეს პარტჯგუფები და პარტორგანიზატორები, რომლებსაც არ უწევენ კონკრეტულ ხელმძღვანელობას.** ამის შედეგად პარტჯგუფები და პარტორგანიზატორები ვერ იბრძვიან საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის, არ არის გამოყენებული სოც-შეჯიბრება - დამკვრელობა, არ სჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში, ასევე შეიძლება ითქვას ამხ. **სტალინის 6 ისტორიული მითითების** შესახებ, **რომელთაგან ჯერ-ჯერობით არც ერთი პირობა არ არის განხორციელებული.**

მაღაროებში სისტემატიურად არ სრულდება საწარმოო საფინანსო გეგმები. მაგ. აპრილის თვეში უნდა ამოღებულიყო—45,218 ტონა ქვა, ფაქტიურად კი ამოღებულია—41,827 ტონა. რაც გეგმის—92,6 პროცენტს უდრის. ამგვარ სურათს იძლევა საექსპორტო მადნების დამუშავების საქმეც. აპრილში ჭიათურის მაღაროებს უნდა მოეცათ 408.743 მან. პროდუქცია, ფაქტიურად კი მოგვცეს—389.975 მან. პროდუქცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **ღვიმევის, რგანის და პერევისის** პარტუჯრედებს სრულებით „დაავიწყდათ“ ძირეულ რგოლზე ხელმძღვანელობის საკითხები.

ტ. ტრაპაიძე.

მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. ᲜᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ—ამხ. სტალინის სახ. სარ. ქარხნის პარტორგანიზატ. ამხ. Გ. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘᲐᲜᲘ—მკერავის ფაბრიკა № 1-ის პარტორგანიზატორი, ამხ. ᲛᲐᲓᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ—თბილისის ტრამვაის პარტ ორგანიზატორი, დამკვრელი, ამხ. ᲙᲘᲠᲚᲘ ᲬᲝᲕᲘ— „26“ კომუნ. სახ. ქარხნის პარტ ორგანიზატორი, საუკ. დამკვრელი, ამხ. ᲕᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ—ამხ. სტალინის სახელობის სარემ. ქარხნის საქვაბო საამქროს პარტორგანიზატორი.

როგორ ვანხორციელებთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 13 მარტის დადგენილებას

(თელავის რაიონი)

საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 18 მარტის დადგენილ ნაწილის და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობების საფუძველზე თელავის პარტ რაიკომმა გაშალა მუშაობა—სოფლის ძირეულ ორგანიზაციების მუშაობის გარდასაქმნელად.

ამას წინად მოწვეული იქნა სოფლის პარტუჯრედების მდივნების სარაიონო გაფართოებული თათბირი პარტკომიტეტთან ერთად. სადაც დამუშავდა პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის საკითხები.

თათბირის დადგენილების საფუძველზე სოფ. წინანდალში და ნაფარეულში გაუქმებულ იქნა ბიურო-კოლექტივები და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდა სამაზო პარტ. უჯრედები.

კოლმეურნეობების ორგანიზაციულ სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების მიზნით გადასინჯულ იქნა რაიონის უჯრედების ქსელი.

საკოლმეურნეო უჯრედები მოეწყო მხოლოდ ᲜᲐᲤᲐᲠᲔᲣᲚᲘᲡ და ᲚᲔᲠᲬᲘᲜᲓᲐᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲨᲘ. უჯრედების სიმცირე აიხსნება კოლმეურნეობებში მოსახლეობის გაერთიანების მცირე პროცენტით და აგრეთვე კოლმეურნეობებში პარტიის წევრთა ნაკლები რაოდენობით.

ხუთ კოლმეურნეობაში (ჯიღლაანის, ვარდისუბნის, აწყურის, ოფოის და გუგულის) ჩამოყალიბდა საკანდიდატო ჯგუფები და ორი პარტჯგუფი (ახმეტაში და ზემოხოდალენში). კ

მეკურდღლეობას მუშათა დაჩქარული კოოპერატივების განსაკუთრებული ყურადღება

სიტყვიდან—საქმეზე

ხორცის პრობლემის უახლოეს მომავალში გადაჭრის თვალსაზრისით მეკურდღლეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ერთი წლის განმავლობაში თითო დიდალი კურდღელი იძლევა 20 მოზარდ კურდღელს. გემოთი და საკვები ნივთიერების შემადგენლობის მზრით კურდღლის ხორცი ითვლება საუკეთესო ხარისხის ხორცად. ყოველივე ამის გამო სავსებით გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქარტიული, საბჭოთა, კოოპერატიული და საკოლმეურნეო ორგანიზაციები იჩენენ მეკურდღლეობის განვითარების საქმეში.

მაგრამ მეკურდღლეობის განვითარება მხოლოდ მაშინ ისაძლება სწორი და სასარგებლო გზით, თუ ეს საქმე უზრუნველყოფილი იქნება სწორი პარტიული ხელმძღვანელობით და დახმარებით. ამოცანა-მდგომარეობს იმაში, რომ ძირშივე ავიცილოთ მეკურდღლეობის განვითარებისა [illegible]ლობა და ფართოდ ჩავაბათ ამ საქმეში რო გორც საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები, ისე კოოპერატიული ორგანიზაციები, განსაკუთრებით საზოგადოებრივი კვების ჯსქები.

„კომუნისტ“-მა ჩაატარა იმის შემოწმება, თუ როგორ გამოხმაურენ თბილისის მსხვილი საწარმონი და კოოპერატიული ორგანიზაციები საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრების გამოძახილს **თვითეულ სასადილოსა, მუშათა დასურულ კ.ა.ოპერატივთან და სხ. მეკურდღლეობის მოშენების დაწყების საქმეს.** გამოირკვა, რომ პრაქტიკულად ამ დარგში ძლიერ ცოტაა გაკეთებული. ისეთ დიდ წარმოებაში, როგორიცაა სტალინის სახელობის ქარხანა და 26 კომუნარის ქარხანა—თითქმის არავითარი ნაბიჯი არაა გადადგმული კურდღლის გემიანი მოშენებისათვის.

ამხ. სტალინის და 26 კომუნარის სახელობის ქარხნები არაფერს არ აკეთებენ

კურდღლების მოშენებისათვის

ხორცის პრობლემის გადაჭრის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეკურდღლეობის განვითარება. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და „პრავდა“ არა ერთხელ მიუთითებდა მეკურდღლეობის ფართოდ განვითარების აუცილებლობაზე.

საბჭოთა კავშირის მოწინავე სამრეწველო ცენტრებში ამ საქმის წარმატებით გადაჭრისათვის გადადგმულია სათანადო ნაბიჯები.

მაგ. მოსკოვის მოწინავე ქარხანამ, „სერპი მოლოტ“-მა კურდღლის მოშენების საქმეში მაგალითი მისცა სხვა ქარხნებს. ქარხანამ შესძლო მუშათა დახურულ კოოპერატივთან მოეწყო მეკურდღლეობის მეურნეობა და ფართოდ გაეფრცელებინა კურდღელი მუშებსა და მათ ოჯახებს შორის.

მეკურდღლეობის განვითარების საქმე უნდა ითაონ კოოპერატიულმა და პირველ რიგში პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. მათ გადაჭრილი ზომები უნდა მიიღონ მეკურდღლეობის განვითარებისათვის. ეს ი ინიციატივით საბჭოთა მეურნეობებში, საგარეთუნო მეურნეობებში, მსხვილ ქარხნებში და მუშათა კოოპერატიულ ორგანიზაციებში, რომელიც ამ საქმეში თბილისში დღემდე გადამჭრელი ნაბიჯი გადადგმული არ არის. კერძოდ ამხ. **სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელ და 26 კომუნარის სახ. ქარხნებში,** ამ მიმართულებით არაფერი არ არის გაკეთებული, მაშინ, როდესაც სხვა ქარხნებმა მათგან უნდა აიღონ მაგალითი. ამ ქარხნების მუშათა კომიტეტებში განაცხადეს, რომ დღემდე **„კურდღლების მოშენებისათვის არავითარი პრაქტიკული ღონისძიებები არ არის მიღებული, დირექტივების მიუღებლობის გამო“.**

მეკურდღლეობის განვითარებისადმი ასეთი მეშარეგვენე ოპორტუნისტული დამოკიდებულება ახლავე უნდა აღიკვეთოს. **თბილისის ფაბრიკა-ქარხნები უნდა შეუდგენ მუშათა ფართო მასებში ამ საკითხის პოპულარიზაციას** და კურდღლის მოშენებისათვის გადადგან **პრაქტიკული** ნაბიჯები, რომ წელსვე მიიღონ კურდღლის ხორცი.

კ—ო.

ნათესების დაჭუშავებისათვის მზადებას მთელი ძალები

სიღნაღის რაიონი შემოწმებაზე

(„კომუნისტის“ გამსვლელი ბრიგადებისაგან)

გაზეთ „კომუნისტი“-ს „კოლექტივიზაციას“ და „კოლმეურნეს“ გაერთიანებულმა დამკვრელმა ბრიგადებმა სიღნაღის რაიონის სოფლის საბჭოებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობაში ათი დღის განმავლობაში გამოკვლევის წარმოების შედეგად 12 მაისს მოიწვია სოფლიში რაონული ორგანიზაციების, სოფლის საბჭოებია, კოლმეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის და ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც შეჯამებული იქნა რიგი შედეგები.

თათბირზე მოსმენილი იქნა რაიმიწგანის და თესვის ჩამტარებელ რაიონის შტაბის ხელმძღვანელი ამხ. ალ. ბაიდოშვილის მოხსენება საგაზაფხულო თესვის კამპანიის შედეგების და რაიონის უახლოეს ამოცანების შესახებ. გამოირკვა შემდეგი:

გასულ წლის გაკეთებილები არ გაითვალისწინეს

სიღნაღის რაიონს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დიდი ბეგერითი წონა უკავია. აქ სუბტროპიკულ მცენარეებთან პარალელურად საგრძნობლად არის განვითარებული ალპიური მცენარეულობა და მეცხვარეობა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, **მას შემდეგ,** რაც ალაზნის ირხი ამოშავდა სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობაში **რადიკალური** გარდატეხა დაიწყო და ამ დროიდან აქ გაბატონებულ ადგილს იკავებენ ტეხნიკური კულტურები.

მართალია რაიონში მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულია, მაგრამ იგი დამაკმაყოფილებელი არ არის, რასაც ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, **რომ ზოგიერთი სოფლის საბჭოებში** ადლევ **ვიდრე** ამ ჩამორჩენის მთავარ მიზეზად ასახელებენ უამინობას 1-დან 5 მაისამდე, მაგრამ ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი არის მოსამზადებელი მუშაობის სისუსტე და ოპერატიული ხელმძღვანელობის მოუქნელობა.

რაც შეეხება დანარჩენ კულტურებს მდგომარეობა გაცილებით უკეთესია. უნდა ვიფიქროთ, რომ მოკვლევ ვადებში ყველა დანარჩენ კულტურების თესვა ძირითადათ დამთავრებული იქნება.

კოლმეურნეობები ხელმძღვანელობის გარეშე

სიღნაღის რაიკოლმეურნეობათა კავშირი საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 4 თებ. დადგენილების გატარებას ფორმალურად მიუდგა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში (ქ. ბოდე-ჯუგაანი) (საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 4 თებერვლის დადგენილება ბამბის **ბიუროს** ნაკვეთი **ბრიგადა** ეს ეს ერთ ადგილზე **ბამბის** ბ**ბ**ბ**

ბოლშევიკურათ ჩავატაროთ თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

უზრუნველყოთ შეუკავშირებელი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა საბჭოს საანგარიშო კამპანიაში

ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის დეპუტატები მისაბაძ მაგალითს იძლევიან

ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის სადეპუტატო ჯგუფების გაერთიანებულმა ბიუროომ მიიღო ბაქოს საბჭოს წერილი, იმის შესახებ, რომ თბილისში კაპიტალური რემონტისათვის გაგზავნილია ბაქოს საბჭოს სახელობის ორთქლმავალი № 678-10. მიღებული წერილის შინაარსი სასწრაფოდ გააცნეს გაერთიანებული ბიუროს წევრებს და დაუყოვნებლივ იქნა მოწვეული ქარხანაში მომუშავე ყველა დეპუტატების და პროფაქტივის გაერთიანებული სხდომა.

სადეპუტატო ჯგუფმა მიიღო აღნიშნული ორთქლმავლის შეფობა და იკისრა მისი ვალზე ადრე და საუკეთესო ხარისხის რემონტ ი გამოშვება

სადეპუტატო ჯგუფმა გამოყო სპეციალური ბრიგადა, რომელსაც დაევალა რემონტის მიმდინარეობისათვის თვალყურის დევნება და სისტემატიური კანტროლის გაწევა. ბრიგადაში შედიან მხოლოდ თპალასის და ლენრაიონის საბჭოს წევრი დეპუტატები—საუკეთესო დამკვრელები. **სარემონტო ბრიგადაშიაც უმთავრესად დეპუტატები მონაწილეობენ.**

ბაქოს საბჭოს ორთქლმავლის შეკეთება გამოცხადებულია დაკვრითი სამუშაოთ, რომლის შესრულების ხარისხი უმაღლეს საფეხურზე უნდა დადგეს.

ბაქოს საბჭოს მიერ თბილისის საგზაო ტრესტისათვის აღმოჩენილი სამეურნეო-პოლიტიკური დახმარების საპასუხოთ, ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტეხნიკოსებმა იკისრეს მომავალშიაც შეუპოვრად იბრძოლონ მეოთხე დაკვრითი წლის საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხნის, სადეპუტატო ჯგუფმა, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესახებ აცნობა ბაქოს საბჭოს.

ლენრაიონი მოწინავეთა რიგებში

ლენინის რაიონში საანგარიშო კამპანიისათვის დაწყებული სამზადისი პირველ ხანებში ძალზე მოისუსტებდა.

ამხ. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში, რომელიც ერთი უდიდესი საწარმოთაგანია მთელ რაიონში, **არ ყოფილა გამოყოფილი სადეპუტატო ჯგუფებისათვის ცალკე სამუშაო დღე.** უნდა აღინიშნოს, რომ წარმოება-დაწყებულებებზე, მოსამზადებელი მუშაობის სახელმძღვანელოდ მიმაგრებული ამხანაგები გულგრილობას იჩენდნენ და დანიშნული დაგალებაზე არ ცხადდებოდნენ. სამუშაოზე არ გამოცხადდენ, მაგალითად, ამხ. **კობალაძე, ბუჯიაშვილი, ვატინი,** გელაშვილი და **თედიაშვილი.** მათი, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების მიზეზით დანიშნული კრებები ჩაშალა.

თბილისის საბჭოდან მომაგრებული ამხანაგებიც არ გამოცხადებულან ადგილზე. 11 კაციდან 12 მაისისათვის დანიშნულების ადგილზე გამოცხადდა მხოლოდ 3 კაცი.

საანგარიშო კამპანიისათვის მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებაში გულგრილობა გამოიჩინეს თვით ლენრაისაბჭოს წევრებმაც—**ივანე კაშინმა და ვასილ დოლინაძემ.**

მოუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში **ლენინის რაიონში მაინც ბევრი რამ გაკეთდა.** საწარმოს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებაში აღებულია ოლშევიკური ტემპები და მთელ რიგ საწარმოებში სამზადისი მუშაობა უკვე დამთავრდა.

ამჟამად, საანგარიშო კამპანიისათვის მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულია—თბილისის რკ. გზ. სადგურის წარმოებადაწყებულებებში და სხვ. **რკ. გზის სადგურის სადეპუტატო ჯგუფმა,** საანგარიშო კამპანიის უკეთ ჩატარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია **სარემონტო ქარხნის დეპუტატთა ჯგუფი.** 12 მაისიდან ყველა იმ საწარმოებში, სადაც დამთავრდა მოსამზადებელი მუშაობა, დაიწყო **სადეპუტატო ჯგუფების საანგარიშო მოხსენებების მოსმენა.**

სარემონტო ქარხანაში მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, დამთავრებული იქნება ამ დღეებში.

აღიარ აგრეთვე ჩამორჩენილი წარმოებადაწყებულებებში, სადაც ჯერ კიდევ არაა გაშლილი საანგარიშო კამპანიისათვის სამზადისი. ასეთი წარმოება - დაწყებულებებია — **რკ. გზის მე-6 და მე-18 უბანი, რკინის გზის ფოსტა-ტელეგრაფი, საფ.-საქ. სკოლა და სხვ.**

საანგარიშო კამპანის მოსამზადებელ მუშაობაში დიდი ენერგიის გამოჩენისათვის, ლენრაისაბჭომ მადლობა გამოუცხადა — ამხ. ობოლაძეს, სირბილაძეს, ქაჯაიას, ლაშქარაშვილს, მუსერიძეს, როსტაშვილს, კვინტალიანს, მექვაბიშვილს, წერეთელს, ესაკიას და ფარულაშვილს.

საბჭოს წევრი.

მეტი ყურადღება შეუკავშირებელ მოსახლეობაში მუშაობას

შეუკავშრებელი მოსახლეობის საანგარიშო კამპანიაში ფართოდ ჩაბმისათვის თბილისის რაიასბჭოსთან არსებულმა კომისიებმა დღემდე ვერ შესძლეს მუშაობის სათანადოთ გაშლა. ეს კი ერთი მთავარი ამოცანა ნათავალია, რადგან საანგარიშო კამპანიაში მუშის ცოლებისა და დისახლისების ჩაბმას შეუძლია უდიდესი პრაქტიკული ნაყოფის მოტანა.

ლენინის რაიასბჭოს, მაგალითად, რომელმაც საანგარიშო კამპანიისათვის დაწყებული მოსამზადებელი მუშაობაში უკვე ბევრ მაღალი ტემპებში, **სრულიად გამორჩა მხედველობიდან** შეუკავშირებელ მოსახლეობაში მუშობის ჩატარება. ხსენებულ რაიასბჭოს ამის შესახებ არაეთარი ცნობები არ მოეპოვება. ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი სხვა რაიასბჭოებშიაც, რომლებიც თბილისის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილებას არ აძლევენ საკმარი ცნობებს ამ დარგში ჩატარებულ მუშობის შესახებ.

რაიასბჭოებმა და რაიონულმა კომისიებმა, რომლებიც გამოყოფილი არიან **საანგარიშო** კამპანიის სახელმძღვანელოთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონს შეუკავშირებელ მოსახლეობათა შორის მუშობის გაშლას.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო კამპანიისათვის დაწყებულ მოსამზადებელ მუშაობაში ჯერ კიდევ არ აქვს სათანადო ადგილი დათმობილი შრომის სოციალისტური მეთოდების გამოყენება. **ლენრაისაბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია 26 კომუნარის რაიასბჭო,** ხელშეკრულებაც გაფორმებულია, მაგრამ ჯერ აკეთებს 26 კომუნ. რაიასბჭო ხელშეკრულების შესასრულებლად, ამაზე აბაფერი ისმის.

რ. თავგერიძე.

ყველაზე აღმოსავლეთ საქართველოში

15 მაისს, საღამოს აღმოსავლეთ საქართველოში მოვიდა დიდი წვიმა, რამაც გამოიწვია წყალდიდობა და დიდი ზარალი მიაყენა ცალკე რაიონებს. წყალდიდობის შედეგების შესახებ რაიონებიდან გვაცნობინებენ:

სტალინისი

სტალინისი, 16 მაისი. 15 მაისს საღამოს მტკვრის დონემ საგრძნობლად აიწია. საღამოს 6 საათზე მდინარემ მოგლიჯა და გაიტაცა ქარელის ბორანი, რომელიც ხალხით იყო სავსე. **ბორანზე იმყოფებოდა დაახლოებით 25-მდე მგზავრი.** ბორანის ზედი გამოურკვეველია.

ავჭალა

ავჭალა, 16 მაისი. მოულოდნელად **მოსულმა** წვიმამ ავჭალის რაიონში 15 **მაისს** გამოიწვია დიდი წყალდიდობა: ადიდებულმა გლდანისხეევის წყალმა მოგლიჯა **რკინის** გზის ხიდის ნახევარი ნაწილი და **წაიღო.** ნაპირებიდან გადმოსული მდინარე **რკინის** გზის ლიანდაგამდე აღწევდა. რკინის გზის გასწვრივ მდებარე დროებითი ნაგებობები სულ წყალქვეშ.

ხიდის დაზარალების შესახებ სადგურში ცნობა მოიტანა შემთხვევით გამვლელმა **ამხ.** შაქრო არეთინოვმა. სწორედ მაშინ, **როდესაც ზარი** მიცემული იყო და ავჭალის სადგურიდან მატარებელი თბილისისაკენ **უნდა** დაძრულიყო. **მატარებელი შეაჩერეს** და **კატასტროფა** თავიდან აცდენილ იქნა.

აღსანიშნავია, **რომ** რკინის გზის ხიდს, რომელიც სადგურზე დამორებულია მხოლოდ ასოოდე საჟენით, არ ყავდა გუშაგი და კოკისპირული წვიმის დროს არაეის უფიქრია **ლიანდაგის** მეთვალყურეობა და მის დათვალიერება. 15 მაისის ღამის 2 საათიდან მატარებლის ნორმალური მიმოსვლა თბილისისაკენ შეჩერებულია. ყველა მახლობელ **სადგურებიდან** გამოწვეული არიან მუშები და მუშაობა **დაკვრითი** წესით მიმდინარეობს. **ხიდის** აღდგენას დასჭირდება **დაახლოებით 5-6** დღე. მდინარეზე გადაკეტილ **ხიდის** ადგილას **ეს** ... **ეს** ... **ეს** ...